



საქართველო

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის/სამხრეთ კავკასიური მილსადენების (BTC/SCP) და დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა (CDI)

2012 წლის იანვარი-მარტის ანგარიში

BP-ის ბიზნესსაქმიანობა საქართველოში

BP საქართველოში 1996 წლიდან იმყოფება. ჩვენი ძირითადი საქმიანობა ჩვენ მიერ ოპერირებული მილსადენების საშუალებით ენერჯის უსაფრთხო ტრანსპორტირება და მიწოდებაა. ამ დარგში ჩვენ წამყვანი ინვესტორი და ოპერატორი ვართ ნავთობისა და გაზის სამ მსხვილ პროექტში:

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენის ექსპლუატაცია 2006 წლის ივნისში დაიწყო. BTC მილსადენი, რომლის მთლიანი სამშენებლო ღირებულება დაახლოებით 4 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, კასპიისა და ხმელთაშუა ზღვების დამაკავშირებელი პირველი პირდაპირი სატრანსპორტო ხაზია. სრული წარმადობით მილსადენს საერთაშორისო ბაზრებისთვის დღეში ერთი მილიონი ბარელი ნავთობის მიწოდება შეუძლია, რაც მომავალი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს მთავრობისთვის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო გახდება.

სამხრეთ კავკასიური გასზადენი (SCP)

სამხრეთ კავკასიური გასზადენის (SCP) საშუალებით კასპიის ზღვის შაჰ დენიზის საბადოდან გაზის აზერბაიჯანისა და საქართველოს ბაზრებისთვის მიწოდება 2006 წლის დეკემბერში, ხოლო თურქეთში 2007 წლის ივლისში დაიწყო. გასზადენი რეგიონის გაზმომარაგების ახალ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (WREP)

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (WREP), რომელიც აგრეთვე ცნობილია ბაქო-სუფსის მილსადენის სახელით, ჩვენ მიერ საქართველოში განხორციელებული პირველი ინვესტიციაა. ამ 830 კმ სიგრძის მილსადენით ნავთობი კასპიის ზღვის ჩირაგის საბადოდან, აზერბაიჯანის სანგაჩალის ტერმინალის გავლით, დასავლეთ საქართველოში მდებარე სუფსის ტერმინალს მიეწოდება. მილსადენის მთლიანი მარშრუტის თითქმის

ნახევარი საქართველოში მდებარეობს. WREP-ს, რომელიც 1999 წელს ამოქმედდა, დღეში 100,000-მდე ბარელი ნავთობის გატარება შეუძლია.

BP საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის (CDI) მიმოხილვა

პროგრამა BTC/SCP მილსადენების ახლოს მდებარე სოფლებში

CDI-ს განხორციელება საქართველოში დაიწყო 2003 წლის დასაწყისში, SCP და BTC მილსადენების მარშრუტის ახლოს მდებარე 77 დასახლებაში. დასაწყისში პროგრამის განხორციელება დაიწყო საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის (CIP) სახელით, მაგრამ მოგვიანებით ეს დასახელება შეიცვალა ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივით (CDI).

მილსადენების მშენებლობის ეტაპზე CDI-ს მიზანი იყო BP-ს და მილსადენების ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას შორის პოზიტიური ურთიერთობების გაღრმავება, მდგრადი სოციალურ-ეკონომიური განვითარების საფუძველზე.

მილსადენების მშენებლობის პერიოდში პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი სამი წლის განმავლობაში (2003-2006) შეადგენდა 8 მილიონ აშშ დოლარს. მსგავსი პროგრამები ახერხაიჯანისა და თურქეთისთვისაც შეიქმნა.

BTC/SCP მილსადენების მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციის ფაზაზე გადასვლის შემდეგ (2006 წელი) BP-მ, როგორც BTC და SCP მილსადენების ოპერატორმა CDI-ს მე-2 ფაზის დაფინანსება კიდევ 3 წლით (2006-2009წწ) გააგრძელა, რომლის მიზანი BTC/SCP მილსადენების ახლოს მცხოვრებ მოსახლეობასთან პოზიტიური ურთიერთობების გაღრმავება და განმტკიცება იყო.

CDI-ს (CDI 2) II ფაზა ზოგადად მიზნად ისახავდა BP-ს და BTC/SCP მილსადენების ტრასის ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას შორის პოზიტიური ურთიერთობების გაღრმავებას იმ მოსახლეობის ფინანსური მხარდაჭერის საფუძველზე, რომელიც მზად არის გახდეს საზოგადოების მდგრადი განვითარების მაგალითი. პროგრამის მიზანია დაეხმაროს მოსახლეობას რათა მან შეძლოს განახორციელოს პროექტები და უზრუნველყოს მათი მდგრადობა მინიმალური გარეშე დახმარებით, პროგრამის ფარგლებში უნდა გაიზარდოს და გაუმჯობესდეს მილსადენების გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლები და შესაძლებლობები, და ეს ყოველივე BP-სთან პარტნიორული ურთიერთობის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს.

2008 წლის დასაწყისში მიმდინარე საქმიანობასთან ერთად დაიწყო CDI 2-ის მარკეტინგული კომპონენტის – პროექტის „ფერმერები და ბაზარი“ (FiM) განხორციელება. აღნიშნული ინიციატივის მიზანი იყო წვრილი ფერმერების დახმარება მათთვის სასიცოცხლო პრობლემის მოგვარებაში, როგორცაა მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოხვედრა გასაღების ბაზარზე. ამ მიზნით, პროექტს ეწოდა „ფერმერები და ბაზარი“.

პროექტის საქმიანობის განხორციელება დაგეგმილი იყო სამი წლის განმავლობაში (2008-2011წწ). 2011 წლის დასაწყისში, პროექტის ბიუჯეტში თანხების დაზოგვის გამო, პროექტი გაგრძელდა, დამატებითი დაფინანსების გარეშე, კიდევ ოთხი თვით, 2011 წლის ივნისის ბოლომდე. მოგვიანებით, თანხების კვლავ დაზოგვის გამო, პროექტი გაგრძელდა კიდევ ერთი თვით,

2011 წლის ივლისის ბოლომდე, დაგეგმილი სამუშაოების დასასრულებლად, პროექტის ბიუჯეტის დარჩენილი თანხების ფარგლებში.

BP-ისა და მისი აქციონერების მიერ აღებული ვალდებულებების ფარგლებში, რომლის მიზანი სამი მილსადენის (BTC/SCP/WREP) პროექტის ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ხელშეწყობაა და, აგრეთვე, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა საქართველოში BTC/SCP და WREP მილსადენების ახლოს 2009 წლის შემდეგაც გაგრძელებულიყო.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მესამე ფაზა (CDI 3) 2010 წლის მაისში BTC და SCP მილსადენების ტერიტორიაზე დაიწყო პროგრამის ხელმძღვანელმა პარტნიორმა ორგანიზაციამ „ქეა საერთაშორისო“. ახალი ფაზის დაწყებამდე CDI 2-დან CDI 3-ზე შეუფერხებელი გადასვლა CDI 2-ის რამდენიმე კომპონენტის გაგრძელების აუცილებლობამ განაპირობა.

„ქეა საერთაშორისოს“ მიერ CDI 3-თან დაკავშირებით წარმოდგენილი წინადადება, როგორც კომპანიის შიგნით BTC/SCP ჯგუფის მიერ, ასევე საქართველოში მოქმედი წამყვანი დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული მრჩეველთა საბჭოს მიერ იქნა განხილული. ეს ორგანიზაციებია: გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა (UNDP), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), ევროკავშირი (EU) და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს ოფისი სამხრეთ კავკასიაში (SDC).

2010 წლის მაისში ხელის მოეწერა ოფიციალურ ხელშეკრულებას ორგანიზაციასთან „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“, რომელიც განახორციელებს პროგრამას ორ ადგილობრივ ორგანიზაციასთან – „ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრთან“ (CTC) და ბანკ „კონსტანტასთან“ (მიკრო სესხები) ერთად. პროგრამის განხორციელების ვადად განისაზღვრა 2012 წლის იანვრის ბოლო, ხოლო მთლიანმა ბიუჯეტმა 1,865,081 აშშ დოლარი შეადგინა.

პროგრამის ბიუჯეტის თანხების დაზოგვის გამო, პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის დასასრულებლად, პროგრამა გაგრძელდა დამატებითი თანხების გამოყოფის გარეშე, ორი თვით, 2012 წლის მარტის ბოლომდე.

პროგრამის მესამე ფაზის მიზანი იყო მდგრადი სოციალური და ეკონომიური განვითარების ხელშეწყობის გზით მილსადენების ტრასის ახლოს მცხოვრებ მოსახლეობასთან პოზიტიური და ჰარმონიული ურთიერთობების გადრმავება და განმტკიცება. ქვეყნის სპეციფიკის და ასევე პროგრამის I და II ფაზების ფარგლებში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით, სამომავლო პროექტების ყველაზე შესაფერის ორ ძირითად მიმართულებად სოფლის მეურნეობა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება დასახელდა.

პროგრამა WREP მილსადენის ახლომდებარე სოფლებში

2009 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება საქართველოში WREP მილსადენის ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა BTC და SCP მილსადენების მართვის სტრუქტურას დაქვემდებარებოდა, რის შედეგადაც *სატენდერო წინადადებების მოთხოვნის (RfP)* პროცესის

მეშვეობით პროექტის განხორციელებაში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაერთვნენ. პროექტის სამიზნე მიმართულებას ახალგაზრდების უნარ-ჩვევების პოტენციალის ამაღლების ხელშეწყობა წარმოადგენდა.

პროექტი 2012 წლის მაისში დასრულდება. მისი მთლიანი ბიუჯეტი 482,013 აშშ დოლარს შეადგენს, საიდანაც BP-ის მიერ ამ პროექტის განსახორციელებლად 299,923 აშშ დოლარი გამოიყო. 173,490 აშშ დოლარის თანადაფინანსება გამოიყო სკაუტების ადგილობრივი ორგანიზაციისა და პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის – „ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრის“ (CTC) მიერ, აგრეთვე „შვეიცარიის მეგზურებისა და სკაუტების მოძრაობასთან“ ერთად განხორციელებული პროექტის მიერ.

პროექტის მიმდინარეობისას, დამატებით 55 ათასი აშშ დოლარი გამოიყო დამატებითი ღონისძიებებისათვის, მათ შორის, მეორე საზაფხულო ბანაკის მოსაწყობად და აგრეთვე სამოქალაქო განათლების სასწავლო კურსის ჩასატარებლად სამიზნე სკოლების მასწავლებლებისთვის. პროექტის ყველა ეს დამატებითი ღონისძიებები დაიგეგმა სამიზნე სკოლებისა და ახალგაზრდული ჯგუფების საჭიროებების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე. დამატებითი ღონისძიებების შესასრულებლად, პროექტი გაგრძელდა 2012 წლის ივნისის ბოლომდე.

ზემოხსენებული პროგრამების ძირითადი მიზნები და მიმართულებები ქვემოთ დაწვრილებით არის აღწერილი.

BTC/SCP CDI 3 – მიზნები და ძირითადი კომპონენტები

- **სოციალური / ინსტიტუციონალური მიზანი და მისი კომპონენტები, როგორც საბოლოო მიზნის შემადგენელი ნაწილები**
 - ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების **პოტენციალის ამაღლება**, რაც მომავალში უზრუნველყოფს მათ მიერ პროგრამის განხორციელებას დამოუკიდებლად, საერთაშორისო ორგანიზაციის ზედამხედველობის გარეშე; ასევე, მილსადენის ახლოს მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი მდგრადი განვითარებისთვის ხელშეწყობი გარემოს შექმნა.
 - 20 სასოფლო ინფრასტრუქტურის პროექტის განხორციელება
 - 10 სათემო ორგანიზაციის (CBO) შემოსავლის გაზრდა, რათა მათ მომსახურება გაუწიონ საკუთარი სოფლის მოსახლეობას.
- **ეკონომიკური მიზანი და მისი კომპონენტები, როგორც საბოლოო მიზნის შემადგენელი ნაწილები**
 - ეკონომიური შესაძლებლობების გაუმჯობესება, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება. მცირე ბიზნესსაქმიანობის განვითარების შედეგად გაიზრდება სამიზნე ოჯახების შემოსავალი, სოფლებში გაუმჯობესდება მომსახურების დონე, რაც თავის მხრივ ეკონომიურ სარგებელსაც მოუტანს სოფელს
 - ეკონომიური სარგებლობის უზრინვესაღყოფად პროექტის დიდი ნაწილი დაკავშირებული იქნება სოფლის მეურნეობასთან და ამ სფეროში დახმარებებთან იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში

სულ უფრო და უფრო იზრდება ბაზრების, პროდუქტების და მომსახურების მარკეტინგის მნიშვნელობა.

- პროექტის განხორციელების განმავლობაში ფერმერებისთვის და მცირე ბიზნესისთვის ხელმისაწვდომი იქნება **სუბსიდირებული სესხის** პროგრამა, რაც მეტად საჭირო სტიმულს მისცემს სამიზნე მოსახლეობაში მცირე ბიზნესის განვითარებას.

- **პროგრამის დასრულების და სოფლებიდან გამოსვლის სტრატეგია - მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა**

- **CDI 3-ის დასრულების და სოფლებიდან გამოსვლის სტრატეგიის** განხორციელება დაიწყება პროგრამის განხორციელების პირველივე დღიდან. პროგრამის განხორციელების განმავლობაში გაგრძელდება ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების და ფერმერთა ჯგუფების ქმედითუნარიანობის პოტენციალის ამაღლება, რის შედეგადაც ჩამოყალიბდება სტრუქტურები, რომლებიც უკეთესად შეძლებენ სამიზნე მოსახლეობის განვითარებას და მომავალში **CDI-ის** ფარგლებში **BP-სთან** თანამშრომლობას.

- პროექტის განხორციელების პირველი თვეების განმავლობაში „ქეა“ შეისწავლის იმ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობას, რომლებიც თავის თავზე აიღებენ პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტების განხორციელების პასუხისმგებლობას **CDI 3 -ის** მეორე წლის განმავლობაში. კერძოდ ეს კომპონენტები იქნება სოფლის მეურნეობის დარგში საკონსულტაციო მომსახურება, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და ადგილობრივი მოსახლეობის განვითარებისთვის საჭირო საქმიანობების შესრულება. მე-3 ფაზის დაწყებიდან 8 თვის შემდეგ **CDI 3** დაიწყებს აღნიშნული კომპონენტების გადაცემას შერჩეული ორგანიზაციისათვის, მაგრამ შეინარჩუნებს დამკვირვებლის და კონსულტანტის ფუნქციას პროგრამის დასრულებამდე. აღნიშნული ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მოხდება შერჩეული ორგანიზაციის პოტენციალის გაძლიერება, და იგი გახდება „ქეა“-ს ეფექტური შემცველი პროგრამის განხორციელების პროცესში.

პროექტი „ფერმერები და ბაზარი“ (FtM) BTC/SCP

მილსადენებისათვის – მიზნები და ძირითადი კომპონენტები:

პროექტის მიზანია მილსადენების ახლოს მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლების გაზრდა სასოფლო-სამეურნეო მომსახურების და ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საშუალებით. აღნიშნული მიზანი შესაბამისობაშია **CDI 2-ის** უფრო დიდ მიზანთან, რაც გულისხმობს **BP-ს** და მილსადენების ტრასის ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას შორის პოზიტიური ურთიერთობების განმტკიცებას მოსახლეობის მდგრადი სოციალურ-ეკონომიური განვითარების საფუძველზე

პროექტის „ფერმერები და ბაზარი“ მიზნებია:

- მილსადენების ახლოს მცხოვრები სამიზნე მოსახლეობის ეკონომიური შესაძლებლობების გაუმჯობესება;

- პროექტის ბოლოს 600 ფერმერს დამყარებული ექნება ურთიერთობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მყიდველებთან.

- მილსადენების ახლოს მცხოვრები სამიზნე ფერმერების უნარ-ჩვევების განვითარება და შემოსავლების გაზრდა:

- ამ მიზანს მილსადენების ახლოს მცხოვრები 600 ფერმერი მიაღწევს ტრენინგის, ადგილზე გაწეული მომსახურების და მათი პროდუქციისთვის გასაღების ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით. მოეწეება 4 რეგიონალური გამოფენა-გაყიდვა, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებს 2000 ფერმერი.

- მდგრადი განვითარება, კერძო სექტორის ხელშეწყობის გზით:

- პროექტის განხორციელებაში ჩაერთვებიან კერძო მეწარმეები, რომლებიც შექმნიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საკონსოლიდაციო ცენტრებს (CC) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენების გასწვრივ მდებარე რაიონებში და ხელს შეუწყობენ ამ ცენტრების ეკონომიური ეფექტურობის გაუმჯობესებას. საკონსოლიდაციო ცენტრები შეაგროვებენ და შეისყიდნიან ადგილზე წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და უზრუნველყოფენ ამ პროდუქციის ბაზრებზე გატანას. პროექტის განმავლობაში სულ 4-6 ასეთი საკონსოლიდაციო ცენტრი ჩამოყალიბდება.

WREP-ის ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა - „ახალგაზრდობის უნარ-ჩვევების განვითარების პროექტი“ – მიზნები და ძირითადი კომპონენტები:

- ახალგაზრდობის უნარ-ჩვევების ამაღლება და მათი ჩართვა გარემოს დაცვის პრობლემების მოგვარების საკითხებში

- 44 სამიზნე სკოლის მოსწავლე მონაწილეობას მიიღებს გარემოსდაცვით და მართვის საკითხებისადმი მიძღვნილ ტრენინგებში;

- მიკრო-გრანტების კომპონენტი სამიზნე სკოლების მოსწავლეებს საშუალებას აძლევს განახორციელონ მცირე მასშტაბის გარემოს დაცვის პროექტები;

- სამიზნე სკოლების მოსწავლეები ეცნობიან გარემოს დაცვის მსოფლიო პროგრამას, რომლის საფუძველზეც ისინი შეიძენენ გარემოს დაცვის საკითხების შესახებ პრაქტიკულ ცოდნას;

- 1 საზაფხულო ბანაკი ხელს შეუწყობს პროექტის განმავლობაში შეძენილი ცოდნის ურთიერთგაზიარებას, მიღწეული შედეგების გაანალიზებას, სისტემატიზაციას და შეჯამებას.

- სამიზნე ახალგაზრდობის ჯგუფების ძირითადი უნარ-ჩვევების განვითარება შემდეგი აქტივობების საშუალებით:

- სამიზნე სკოლების მოსწავლეები დაეუფლებიან და გაიუმჯობესებენ ზეპირი და წერილი კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს, გარკვევით ჩამოყალიბებული თვითგამოხატვის უნარს; განვიითარებენ ლოგიკურ და ანალიტიკურ აზროვნებას, რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევებს; ამის

შედგება, სამიზნე სკოლების ახალგაზრდები შეძლებენ პრიორიტეტის საფუძველზე განსაზღვრონ და განახორციელონ მიკრო-გრანტების პროგრამები და დაამყარონ ურთიერთობა მოსახლეობასთან, მათი ინტერესების ლობირების მიზნით.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის ბიუჯეტი

საქართველოში ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მთლიანი ბიუჯეტი (2008-2012 წლებში) შემდეგი თანხებისგან შედგება:

BTC/SCP-ის ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მესამე ეტაპი (CDI 3) – 1,865,081 აშშ დოლარი. „ფერმერები და ბაზარი“ – 520,000 აშშ დოლარი, WREP-ის ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების პროგრამა – 355,437 აშშ დოლარი (მხოლოდ BP-ისა და მისი პარტნიორების წილი).

პროგრამის მართვა და კოორდინაცია

CDI პროგრამების მართვა ხორციელდება კომპანიის თბილისის ოფისში მომუშავე სოციალური პასუხისმგებლობის ჯგუფის მიერ. ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის (CD) მრჩეველის სამუშაო დრო მთლიანად ეთმობა არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის მონიტორინგს და შეფასებას, საველე საქმიანობაში სისტემატური მონაწილეობისა და ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშების განხილვის გზით. CDI მრჩეველი ექვემდებარება *სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯერს*.

პროგრამების განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციები BP-ის უზაზვნიან ყოველთვიურ ანგარიშებს, რომლებშიც შეჯამებულია მიმდინარე თვეში ჩატარებული სამუშაოები და განსაზღვრულია გარკვეული საკითხები და მათი განხორციელება. ყოველ კალენდარულ კვარტალში წარმოდგენილ ანგარიშებში უფრო სიღრმისეულად არის გაშუქებული ფინანსური მენეჯმენტის საკითხები. წლიურ ანგარიშში ძირითადი ყურადღება ეთმობა შედეგებს, მონიტორინგსა და შეფასებას, პროგრამაში მომხდარ ცვლილებებს და ა.შ.

განმახორციელებელი პარტნიორები

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მესამე ეტაპი (CDI 3) **BTC** და **SCP** მილსადენებისთვის

- “ქეა საერთაშორისო საქართველოში” თანამშრომლობს შემდეგ ადგილობრივ პარტნიორებთან:
 - „ფონდი კონსტანტა“ (ამჟამად ბანკი კონსტანტა) (მიკრო-სესხები)
 - „ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი“ (CTC)

„ფერმერები და ბაზარი“ **BTC** და **SCP** მილსადენებისათვის

- “ქეა საერთაშორისო საქართველოში”

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა **WREP** მილსადენისათვის - „ახალგაზრდობის პოტენციალის ამაღლების პროექტი“

- პროგრამას ახორციელებს ქართული ორგანიზაცია „სკაუტების მოძრაობა“, რომელიც თანამშრომლობს ადგილობრივ პარტნიორთან: - „ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი“ (CTC)

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი / სამხრეთ კავკასიური გაზსადენი
ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მე-3 ეტაპი (CDI 3)**

პროექტის ფარგლებში მიღწეული ძირითადი შედეგების კონკრეტული მაგალითები

პროექტი 2012 წლის მარტის ბოლოს დასრულდა. მისი ძირითადი შედეგები ქვემოთ მოკლედ არის შეჯამებული:

CDI3-ის სტრატეგიები და მიდგომები ეფუძნებოდა პროექტის მიზანს, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: “დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, რომ აიმაღლოს შესაძლებლობები, რათა, მინიმალური საგარეო დახმარების პირობებში, საკუთარი ძალებით განახორციელონ თვითდახმარების პროგრამები და გაიუმჯობესონ საარსებო პირობები და განვითარების შესაძლებლობები, BP-ისთან პარტნიორული ურთიერთობის პირობებში.” ამ მიზნის გათვალისწინებით, CDI3-ის ყურადღების ცენტრში მოექცა შედარებით უფრო წარმატებული და კონკურენტუნარიანი სოფლები. პროექტმა საშუალება მისცა ცალკეულ ფერმერებსა და ადგილობრივი მოსახლეობის ჯგუფებს, რომ მონაწილეობა მიეღოთ პროექტის სხვადასხვა კომპონენტში, მათ შორისაა: ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების განვითარება, ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაცია, სოფლის მეურნეობის განვითარება, ფერმერთა ასოციაციების შექმნა და მხარდაჭერა, აგრეთვე ახალი ბიზნესების დაწყება. პროექტის მნიშვნელოვანი მიმართულება იყო CDI-ის განხორციელების პროცესში ადგილობრივი კომპონენტის გაძლიერება, რაც გამოიხატა შესაფერისი კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის სავსე საქმიანობის მართვის სადავეების გადაცემით. CDI3-ის ფარგლებში, “ქეა საერთაშორისომ” ორი არასამთავრობო ორგანიზაცია შეარჩია, პროექტით გათვალისწინებული სავსე სამუშაოების ჩასატარებლად, “ქეა საერთაშორისოს” საერთო ზედამხედველობის ქვეშ. “რეგიონული განვითარების ასოციაცია” შეიქმნა სავსე სამუშაოების ჩასატარებლად დასავლეთის სექტორში, ხოლო “ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრს” დაევალა სამუშაოების ჩატარება აღმოსავლეთ სექტორის მასშტაბით.

მოსახლეობის ინსტიტუციონალური პოტენციალის ამაღლება. სათემო ორგანიზაციების საქმიანობა

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების გაუმჯობესების პროექტები

პროექტის ერთ-ერთი მთავარი შედეგი იყო სათემო ორგანიზაციების

პოტენციალის ამაღლება, რათა მათ დამოუკიდებლად განახორციელონ ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროექტები.

ეკონომიკურ პროექტებზე აქცენტის გაკეთებით, პოზიტიური ძვრები აღინიშნა ადგილობრივი ეკონომიკური გარემოს განვითარების თვალსაზრისით და გაიზარდა ხელმისაწვდომობა ინფრასტრუქტურის ძირითად ობიექტებზე, როგორებიცაა, სასმელი წყლით მომარაგება, სარწყავი სისტემა, პირუტყვის დასაწყურებელი ბაგები, სოფლის შიდა გზები. გარდა ამისა, შესაძლებელი გახდა, რომ მოსახლეობას თანაბრად ესარგებლა განახლებული ობიექტებით. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ობიექტები ყველაზე მნიშვნელოვანი ინვესტიცია იყო ადგილობრივი პოტენციალის ამაღლების თვალსაზრისით, რაც სოფლისთვის საჭირო სხვადასხვა პროექტისა და მომსახურების დაგეგმვითა და განხორციელებით გამოიხატა.

სულ განხორციელდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების 30 პროექტი, რომლებსაც კონკრეტული ეკონომიკური ეფექტი ჰქონდა. დამტკიცებულ პროექტებს შორის იყო: სასმელი წყლის სისტემის და/ან შიდა ქსელის რეაბილიტაცია (13 პროექტი), სარწყავი/სადრენაჟო არხების რეაბილიტაცია (9 პროექტი), პირუტყვის დასაწყურებელი ბაგების მოწყობა (7 პროექტი) და სოფლის შიდა გზები (1 პროექტი).

პროექტის დასრულების დროისათვის შეფასდა სოფლებში ჩატარებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტების თანხსლები სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

სულ 335 ინტერვიუ ჩატარდა 24 სოფლის მასშტაბით, სადაც ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროექტები განხორციელდა.

- ✓ გამოკითხულთა 67% მიიჩნევდა, რომ შერჩეული სარეაბილიტაციო პროექტები სოფლისთვის უპირველეს საჭიროებას წარმოადგენდა.
- ✓ გამოკითხულთა 70% უშუალოდ მონაწილეობდა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტების შერჩევაში, მათი პრიორიტეტულობის მიხედვით.
- ✓ რესპონდენტთა 57% უშუალოდ მონაწილეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოებში.
- ✓ არც ერთ რესპონდენტს არ განუცხადებია, რომ პროექტმა წარმოშვა პრობლემები ან ხელი შეუწყო სოფლის მაცხოვრებლებს შორის კონფლიქტების წარმოშობას. 36%-ის აზრით, პროექტები ძალიან კარგად განხორციელდა; 48%-ის აზრით – კარგად განხორციელდა და დაახლოებით 7%-ის აზრით, საშუალო დონეზე განხორციელდა.
- ✓ გამოკითხულთა 87%-მა განაცხადა, რომ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მეშვეობით გადაიჭრა კონკრეტული პრობლემები, გაუმჯობესდა მომსახურების ხარისხი და პროექტებმა ხელი შეუწყო სოფლის მოსახლეობის მეტად შეკავშირებას.
- ✓ რესპონდენტთა 68%-ის განცხადებით, მოსავლიანობის ზრდა სულ მცირე 20%-ით პირდაპირ კავშირშია რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარებასთან.

სოციალური საწარმოები

პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სათემო ორგანიზაციების პოტენციალის ამაღლებას, რაც გამოიხატა სოციალური საწარმოების შექმნით, რომელთა ძალებით უნდა მოხდეს სოფლის პრობლემების გადაჭრა. ასეთი საწარმოების შექმნა მიზნად ისახავდა სათემო ორგანიზაციების შესაძლებლობების ამაღლებას ისე, რომ მათ შეძლონ ისეთი ბიზნესების მართვა, რომელთა მომსახურებით მათი თანასოფლებები ისარგებლებენ.

პროექტის ფარგლებში, კონკურსის წესით, შეირჩა 11 სათემო ორგანიზაციის წინადადება სოციალური საწარმოების შექმნის შესახებ. თითოეული წინადადების მთლიანი ღირებულება 10 ათასი აშშ დოლარი იყო, რაშიც გათვალისწინებული იყო 40%-იანი თანადაფინანსება სათემო ორგანიზაციების მხრიდან. ბიზნესაქმიანობიდან მიღებული მოგების წყალობით, სათემო ორგანიზაციების უმრავლესობამ (გამონაკლისს წარმოადგენდნენ მოლითისა და წნისის სათემო ორგანიზაციები) შეძლო სოფლის წინაშე აღებული ვალდებულებების შესარულება და განახორციელა რამდენიმე მცირემასშტაბიანი სოციალური პროექტი, მაგალითად: სოფლის წყლის რეზერვუარის გაწმენდა და გაფართოება, სოფლის შიდა გზების გაწმენდა და მოხრეშვა, სოფლის გზების გასწვრივ სადრენაჟო არხების მოწყობა, სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება საკვები პროდუქტებით და სხვა.

დახმარება სოფლის მეურნეობის დარგში და ახალი ბიზნესების დასაწყებად, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სუბსიდირებული სესხები ხელს უწყობს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას.

სოფლის მეურნეობა

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდა ინდივიდუალური სადემონსტრაციო ფერმერული მეურნეობების მოწყობა. გარდა ამისა, სადემონსტრაციო ფერმების მოწყობაში დახმარება გაეწიათ საერთო ინტერესებით გაერთიანებულ ფერმერთა ჯგუფებს მინიმუმ 8 ფერმერის შემადგენლობით.

პროექტის ფარგლებში სულ 80 სადემონსტრაციო ფერმა შეიქმნა (50 ინდივიდუალური ფერმა აღმოსავლეთ სექტორში და 30 ჯგუფური სადემონსტრაციო ფერმა დასავლეთ სექტორში).

პროექტმა დახმარება აღმოუჩინა სადემონსტრაციო ფერმებს, რომლებშიც გათვალისწინებული იყო ახალი ტექნოლოგიების ან აგრარული პროდუქციის წარმოების თანამედროვე მეთოდების დანერგვის კომპონენტი. სამიზნე ფერმერებზე გაიცა 25500 კგ ხარისხიანი სათესლე მასალა და სასუქები. გარდა ამის, მათ დანერგეს მინიმუმ ერთი ახალი ტექნოლოგია, რომელსაც სადემონსტრაციო ფერმების მეშვეობით გაეცნენ.

მილსადენების მარშრუტების გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით მიღწეული შედეგების შესაფასებლად, პროექტის ფარგლებში ჩატარდა სადემონსტრაციო ფერმების კვლევა, შეფასდა მოსავლიანობის დონე და სამიზნე ოჯახური მეურნეობების შემოსავლები.

მოსავლიანობის ზრდამ, უპირველეს ყოვლისა, ხელი შეუწყო სამიზნე ოჯახური მეურნეობების შემოსავლების ზრდას. CDI-ს აღმოსავლეთ

სექტორში ზრდის საშუალო მაჩვენებელი იყო 22%, ხოლო დასავლეთ სექტორში – 20%. კვლევის შედეგების მიხედვით, სადემონსტრაციო ფერმების მფლობელი ფერმერების განცხადებით, მათ საშუალოდ 86-მა სხვა ფერმერმა (მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 50) მიმართა მათ ფერმებში დანერგილი ახალი ტექნოლოგიების შესახებ რეკომენდაციებისა და კონსულტაციების მისაღებად.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ერთ-ერთი საცდელი წამოწყება იყო სათესლე მასალის მწარმოებელთა და რეალიზატორთა ასოციაციის შექმნა. ასოციაციის დამფუძნებლები არიან სამი სოფლიდან წარმოდგენილი კარტოფილის თესლის მწარმოებელთა ჯგუფები.

ასოციაცია ფლობს ჯამში 26 ჰექტარ სახნავ მიწას და აერთიანებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, რაც თითოეულ წევრს წარმოების ხარჯების 28%-ის ეკონომიის საშუალებას აძლევს.

საბაზისო სათესლე მასალის სახით, ასოციაციამ, თავდაპირველად, კარტოფილის ჩითილიდან მიიღო 50კგ კარტოფილის მცირე ზომის ბოლქვები.

პროექტი დაეხმარა ასოციაციის წევრებს იურიდიული, მენეჯმენტის, ტექნიკური და მარკეტინგის სფეროების სხვადასხვა საკითხზე ჩატარებული ტრენინგების მეშვეობით და დააფინანსა მაღალხარისხიანი სათესლე მასალის წარმოებისთვის აუცილებელი დამატებითი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის ხარჯების 50%.

ასოციაციის ხელშეწყობით მოხერხდა ადგილობრივი ჯიშებიდან მაღალხარისხიანი თესლის წარმოება მერისტემის მეთოდით, აგრეთვე სხვადასხვა მაღალხარისხიანი იმპორტირებული ნაირსახეობის შემდგომი გამრავლება. მათ ეტაპობრივად ჩაანაცვლეს იმპორტირებული თესლი ადგილობრივი წარმოების “სუპერ ელიტა” და “ელიტა” ხარისხის სათესლე მასალით, რომელიც უფრო იაფია და საშუალებას აძლევს მათ, რომ კონკურენტულ ფასად შესთავაზონ პროდუქცია ბაზრებს.

დღევანდელი მდგომარეობით, ასოციაციის წევრებს გააჩნიათ ჯამში 2000კგ “სუპერ ელიტა” ხარისხის და 2700 კგ “სუპერ სუპერ ელიტა” ხარისხის კარტოფილის სათესლე მასალის მარაგი, შემდგომი გამრავლებისათვის.

აგრარული სესხები (საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება)

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში არსებული საპროცენტო განაკვეთები და არასტაბილური გარემო სესხების აღებას ფერმერებისთვის ხელმიუწვდომელს და სარისკოს ხდის, პროექტმა შეიმუშავა სესხებზე საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირების სქემა.

სუბსიდირების სქემის მეშვეობით, მიღსადენების ირგვლივ მცხოვრები ფერმერების მიერ აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთების 50%-ს პროექტი ფარავს.

პროექტის ფარგლებში ფერმერებზე სულ 257 სასოფლო-სამეურნეო სესხი გაიცა. ყველა სესხზე გავრცელდა 18%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთი (ბანკის მიერ თავდაპირველად შემოთავაზებული 36%-იანი საპროცენტო განაკვეთის 50%-ის სუბსიდირების შემდეგ), ხოლო პროექტის განმავლობაში სესხის გადახდის კოეფიციენტმა 100% შეადგინა.

ბიზნესის წამოწყება

სულ 78 მეწარმეზე გაიცა გრანტები, კონკურსის წესით, სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებით დაწყებული და საყოფაცხოვრებო მომსახურებით დამთავრებული (მაგ., აბანო, საპარიკმახერო, სტომატოლოგიური კაბინეტი, სასურსათო მაღაზია და სხვა). ყველა გრანტის მიმღებს ჩაუტარდა ტრენინგები ბიზნესის მართვის საფუძვლებში (დაგეგმვა და ბიუჯეტის შედგენა, ბუღალტრული აღრიცხვა, მარკეტინგი, ანალიზი “ღირებულების შექმნის ჯაჭვის” პრინციპით, გადასახადებით დაბეგვრა და სხვა). გარდა ამისა, მათ ადგილზე გაეწიათ საკონსულტაციო მომსახურება, მათ შორის, რეგულარული საკონტროლო ვიზიტების დროს.

ახალი ბიზნესების წამოწყების კომპონენტმა ხელი შეუწყო ოჯახების შემოსავლების ზრდას და დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნას.

გრანტის მიღებისა და ბიზნესსაქმიანობის დაწყების შემდეგ, გრანტის მიმღებთა შემოსავალი გაიზარდა თვეში საშუალოდ 28%-ით.

რადგან პროექტი მიზნად ისახავდა გრანტის მიმღებთა პოტენციალის ამაღლებას, რათა მათ უკეთ მართონ საკუთარი ბიზნესი, ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო ბუღალტერიის, როგორც მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის, სწორად წარმოებაზე. პროექტის მიმდინარეობის შეფასების პროცესში აღმოჩნდა, რომ მეწარმეთა 85% აწარმოებდა ბუღალტერიას.

გრანტებით დაფინანსებულმა მცირე ბიზნესებმა შექმნეს 46 დამატებითი სამუშაო ადგილი.

პროექტის მიერ ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ:

- ✓ რესპონდენტთა 85% გეგმავს ბიზნესის გაფართოებას მომდევნო 6-12 თვის განმავლობაში.
- ✓ გამოკითხული გრანტის მიმღებების 72% აცხადებს, რომ სოფლის განვითარებისთვის მცირე ბიზნესს უაღრესად მნიშვნელოვანი როლი აკისრია.
- ✓ გამოკითხული გრანტის მიმღებების 70% აცხადებს, რომ მათ შეექმნათ პირადი შემოსავლის გაზრდის მეტი შესაძლებლობა და მეტად ირწმუნეს საკუთარი ძალების.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა (CDI) WREP მილსადენის მარშრუტის მოსახლეობისათვის

საანგარიშო კვარტლის განმავლობაში პროგრამის განხორციელებისას წარმოქმნილი სირთულეები

საანგარიშო კვარტალში მთავარი სირთულე დაკავშირებული იყო ძალზე არახელსაყრელ კლიმატურ პირობებთან, რამაც ხელი შეუშალა ახალგაზრდობის ჯგუფებს, რომ განეხორციელებინათ აღებული მიკრო-გრანტებით გათვალისწინებული საქმიანობა.

კონკრეტული შედეგების მაგალითები:

- ახალგაზრდობის ჯგუფებმა ჩაატარეს 39 მცირე მასშტაბის გარემოსდაცვითი ღონისძიება და დისკუსიები თემებზე: “რომელი სტიქიური მოვლენა ვარ მე?”, “ისტორიები ბუნებრივი კატასტროფების შესახებ”, “ბუნების ხელოვნება”, “ჩემთან დაკავშირებული ნახშირორჟანგის გაფრქვევები”, “შეიგრძენი ბუნება”, დებატები გლობალური დათბობის თემაზე, საუბრები ტრეფიკინგზე, სპორტული შეჯიბრებები და ასე შემდეგ;
- სოფლებში ჩატარდა პროექტის შემდგომი შეხვედრები, რომლებიც მიზნად იასახავდა მოსწავლე-ახალგაზრდობის მიერ ამ პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებზე შეძენილი უნარ-ჩვევების შეფასებას. გაიმართა კონსულტაციები იმ საკითხებზე, რომლებიც ახალგაზრდობის ჯგუფების წინაშე წარმოიშვა სატენდერო წინადადების შედგენისა და პროექტების განხორციელების პროცესში.
- ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა (სოფელი როდინოული) სოფლის სხვა სკოლების მოსწავლეებს გაუზიარა საკუთარი გამოცდილება და ჩართო ისინი საკუთარ საქმიანობაში.
- მოსწავლეთა სამმა ჯგუფმა დაასრულა მიკრო-გრანტებით გათვალისწინებული სამუშაოები, ხოლო 12 პროექტის ფარგლებში სამუშაოები კვლავ გრძელდება.

მომდევნო კვარტალი

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა (CDI) BTC/SCP მილსადენების პროექტებისთვის

- პროექტის მეოთხე ეტაპის დაწყება.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა WREP მილსადენის პროექტისთვის

- გარემოსდაცვითი პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
- მიკროგრანტების ფარგლებში მიმდინარე პროექტების დასრულება და ანგარიშების შედგენა.
- საქმიანობის გაშუქება მედიაში, პრეს-რელიზები, სტატიები.

დასასრული

